გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქმე №3ა/328-2004

21 ოქტომბერი 2004 წ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო
საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით

თავმჯდომარე მიხეილ ბებიაშვილი
მოსამართლეები: ტარიელ ზამბახიძე
ნანა ჭანიშვილი

2004 წლის 23 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-მ. პირველი მოპასუხის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მეორე მოპასუხის შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ს, მესამე პირის ს.ს. „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის" მიმართ. მოსარჩელე ითხოვს: 1. ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვა №0122; 2. დაევალოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს „საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალური სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ „ინსინირატორი"-ს ფუნქციონირების პროექტთან დაკავშირებით საჯარო განხილვების მოწყობა და მასში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

2004 წლის 01 სექტემბერის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირის სტატუსით (16 მუხლი პირველი ნაწილი) ჩაბმულ იქნა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანია".

2004 წლის 21 ოქტომბერის მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა მოხსნა პირველი მოთხოვნა (ბათილად იქნეს ცნობილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 დეკემბერს გაცემული გარემოს დაცვითი ნებართვა №0122:) და იშუამდგომლა საქმის გადაეგზავნა უფლებამოსილ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში. აღძრულ შუამდგომლობას მხარი დაუჭირეს მოპასუხეთა და მესამე პირების წარმომადგენლებმა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ" პუნქტის თანახმად სასამართლო უფლებამოსილია შეწყვიტოს საქმის წარმოება თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან, ასოციაცია, „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენელმა მოხსნა სასარჩელო მოთხოვნა –ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვა №0122 ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის საფუძველზე უნდა შეწყდეს ადმინისტრაციულ საქმეზე 3ა/382 სასარჩელო წარმოება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2003 წლის 24 დეკემბრის №0122 გარემოსდაცვითი ნებართვის ბათილობას.

ამდენად სასამართლოს წარმოებაში დარჩა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" სასარჩელო მოთხოვნა დაევალოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს „საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალური სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების სასანვავ დანადგარ „ინსინერატორი"-ს ფუნქციონერების პროექტთან დაკავშირებით საჯარო განხილვების მოწყობა და მასში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. (ქმედების განხორციელება)

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს საოლქო სასამართლოების პირველი ინსტანციის წესით განსახილველ საქმეებს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სარჩელს საქართველოს სამთავრობო დაწესებულების, პრეზიდენტის გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის, აგრეთვე მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო

რწმუნებულის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე.

წინამდებარე სარჩელით დავის საგანს არ წარმოადგენს ზემო აღნიშნულ ნორმაში გათვალისწინებული უწყებების ან თანამდებობის პირების მიერ გამოცემული ადმინისტრტაციულ- სამართლებრივი აქტები.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად სასამართლოსადმი უნყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელის ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელი რაიონული სასამართლოს. პირველი ინსტანციის წესით განსახილველია.

ამდენად, აღნიშნული დავა განხილულ უნდა იქნეს მოპასუხეთა ადგილმდებარეობის შესაბამის რაიონულ სასამართლოში, კერძოდ, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით მე-5, მე-6, მე-12, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ" პუნქტით, 273-ე მუხლის მეორე ნაწილით, 274-ე, 284-ე, 285-ე, 286-ე, 416-ე მუხლებით.

დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს მოსარჩელის ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შუამდგომლობა, შეწყდეს ადმინისტრაციული საქმის წარმოება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2003 წლის 24 დეკემბრის №0122 გარემოსდაცვითი ნებართვის ბათილობის ნაწილში.
2. განემარტოს მოსარჩელეს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეების შორის, იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება.
3. ადმინისტრაციული საქმე №3ა/328 მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელისა გამო პირველი მოპასუხის საქართველოს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მეორე მოპასუხის შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ

ინტერნეიშენალი"-ს, მესამე პირების ს.ს. „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის", ბაქო-თბილის-ჯეიჰანის კომპანიის მიმართ განსჯდობით განსახილველად გადაეგზავნოს უფლებამოსილ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის წარდგენა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში (თბილისი გრ. რობაქიძის 7ა), საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში, მხარეთათვის განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში.

თავმჯდომარე	მიხეილ ბებიაშვილი
მოსამართლეები:	ტარიელ ზამბახიძე
	ნანა ჭანიშვილი

ასლი ნამდვილია
პირველი
მ. ბებიაშვილი